ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №344

ქ. თბილისი 18 ივლისი 2019 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად (თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვა) ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა (მდებარე ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2, შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ორიენტ ლოჯიკს“ (იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქ. №71, ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ.№106, შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს 390 ცალი ანტივირუსული პროგრამა Symantec Endpoint Protection-ის ერთ წლიანი ლიცენზიის (SEP-RNW-AG-250-500. Endpoint Protection, License, ACD-GOV 250-499 Devices) მიწოდებას (კლასიფიკატორის კოდი 48761000) „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად;

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მითითებული ლიცენზიის მოქმედების ვადაა 2019 წლის 2 აგვისტოდან 2020 წლის 1 აგვისტომდე.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 9352.20 (ცხრა ათას სამას ორმოცდათორმეტი ლარი და 20 თეთრი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“) დღგ-ს ჩათვლით.

2.2 ერთი ერთეული ლიცენზიის ღირებულება შეადგენს 23.98 (ოცდასამი ლარი და 98 თეთრი) ლარს.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით „შემსყიდველის“ მისამართზე.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას;

4.2 „მიმწოდებელმა“ საქონელთან ერთად „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტი –საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

5.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): „მიმწოდებლის“ მიერ საქონლის მიწოდებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

5.3 შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშწორება, „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი შესაბამისი საბანკო ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

მუხლი 6. გარანტია

6.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი შეესაბამება მოქმედ სტანდარტებსა და წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებს;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის ხარვეზის აღმოფხვრა ან/და შეცვლა „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მიწოდების ვადების შემოწმების გზით;

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენელი:

1) ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის II სამმართველოს VI განყოფილების უფროსი - ვ. ბედიაშვილი.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 მოთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.3.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.4.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებით შესრულებული ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

12.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.5 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 18 ივლისს და მოქმედებს 2019 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

მუხლი 15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახური

ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2

საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
სახელმწიფო დაცვის სპეციალური
სამსახურისათვის – 4001
ა/ა №GE24NB0330100200165022
კოდი TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი 203840344

„შემსყიდველის“ სახელით:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის ეკონომიკური
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ილია ტარასაშვილი

„მიმწოდებელი“

შპს „ორიენტ ლოჯიკი“

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვასო
გოძიაშვილის №71,
ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი,
ა. ბელიაშვილის ქ.№106

სს „საქართველოს ბანკი“
ა/ა №GE77BG0000000341026301
კოდი BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი 202052054

„მიმწოდებლის“ სახელით:

შპს „ორიენტ ლოჯიკი“-ს
დირექტორის მინდობილი პირი
(სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის
ნომერი №18007192 9 25.01.2018)

ალან სანაკოევი

ORIENT LOGIC LLC
Digitally signed by ORIENT LOGIC LLC
Date: 2019.07.18 17:34:26 +04'00'

Digitally signed by special state protection service of georgia

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ შპს „ორიენტ ლოჯიკითან“ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე — ილია ტარასაშვილი

ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის
II სამმართველოს VI განყოფილების უფროსი — ვასილ ბედიაშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, ბიუჯეტის დაგეგმვის,
კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი — თამარ რამაზაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

52861165439918

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180071929

რეგისტრაციის თარიღი

25.01.2018 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია
მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი
მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თვრამეტი წლის ოცდახუთ იანვარს, მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია,** მომმართა შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: **ვაჟა ნასყიდაშვილმა** მან, როგორც **შპს ორიენტ ლოჯიკი-ს დირექტორმა,** განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს: **ალან სანაკოევს. ვაჟა ნასყიდაშვილმა** მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი დამოწმება სანოტარო წესით ჩემს მიერ. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე შევამოწმე **ვაჟა ნასყიდაშვილის** როგორც **შპს ორიენტ ლოჯიკი-ს დირექტორმა** (საიდენტიფიკაციო კოდი: 202052054; რეგისტრაციის თარიღი: 20/11/1995; განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B17130579. ამონაწერის მომზადების თარიღი: 29/11/2017; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ.აღმაშენებლის გამზ., N91ა) **დირექტორის** უფლებამოსილება წარმოდგენილი დოკუმენტით: **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.**

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი:

ვაჟა ნასყიდაშვილმა (დაბ. 07/10/1962წ, ქ. თბილისში, პირადი # 01020002516, რეგისტრ. მისამართზე: ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ დობროლიუბოვის ქუჩა, N 8) - შპს ორიენტ ლოჯიკი-ს დირექტორი, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, **როგორც „მიმნდობი“, ალან სანაკოევს (დაბ. 01.10.1966 წ. თბილისში. პ/# 01030005126, რეგისტრ. მისამართზე: თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 83/23)** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, **როგორც „მინდობილი“,** მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი

მინდობილი უფლებამოსილია, მიმნდობის, როგორც **შპს ორიენტ ლოჯიკი-ს** დირექტორის სახელით:

1. იყოს ჩემი, როგორც ზემოთმითითებული საზოგადოების დირექტორის წარმომადგენელი, ისარგებლოს ყველა იმ უფლებით და შეასრულოს ის ვალდებულება, რაც მინიჭებული აქვს საზოგადოების დირექტორს კანონით და საზოგადოების წესდებით და აწარმოოს საზოგადოების მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება. ამისათვის იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ყველა კომპეტენტურ ორგანოში, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, ყველა ინსტანციის სასამართლოში, სის საჯარო რეესტროს ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, ნოტარიუსში და ა. შ; აწარმოოს მოლაპარაკება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დადოს მათთან კანონით გათვალისწინებული ყველა სახის გარიგება დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში, შეავსოს ნებისმიერი ანკეტა, საზოგადოების სახელით დადოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულებები, ასევე მიიღოს შედარების აქტები, წარადგინოს და შეიტანოს განცხადებები, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორაცია, ჩააბაროს დეკლარაციები, წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების კანონიერი ინტერესები;
2. ასევე იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ ბანკში საქართველოს ტერიტორიაზე (მის ფილიალში და/ან სერვის-ცენტრში) მართოს და განკარგოს აღნიშნული საზოგადოების საბანკო ანგარიშები, ამისათვის შეასრულოს ნებისმიერი საბანკო-საფინანსო ოპერაცია (ფულადი თანხების შეტანის, გამოტანის, ჩარიცხვის, გადარიცხვის და ჩეკის საშვალებით გატანის უფლებით, ახალი ანგარიშის გახსნის, ანგარიშის დახურვის, ინტერნეტბანკინგის გახსნა-დახურვის და გამოყენების უფლებით, მიიღოს დიჯიპასი, კოდები და ა. შ.); მიიღოს ამონაწერები ანგარიშებიდან, ნებისმიერი საბანკო ცნობა (მათ შორის ოპერაციების არ არსებობის შესახებ) ...

მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, მიიღოს ამონაწერი, საჭიროებისამებრ გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად და შეასრულოს სხვა მოქმედება დაკავშირებული ამ დავალბის შესრულებასთან.

3. ასევე წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების კანონიერი ინტერესები. მიიღოს მონაწილეობა ტენდერებში, საზოგადოების სახელით დადოს გარიგებები ხელშეკრულებები, განსაზღვროს გარიგების ფასი და პირობები, აიღოს თანხა, მოახდინოს რეგისტრაცია, წარადგინოს დეკლარაციები საგადასახადოში, ზედნადებები, შესწორების ნებისმიერი ხარვეზი, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად საჭირო დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს, კრების ოქმებს, გადაწყვეტილებებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

4. ამასთან დაკავშირებით შეიტანოს საზოგადოების სახელით ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, შეავსოს შესაბამისი ანკეტა, ფორმა, მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს ხელი და განახორციელოს ყველა მოქმედება დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან.

5. საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს შესაბამისი საქმე (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული) საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ყველა იმ უფლებით, რომელიც მხარეს მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, კერძოდ: ა) მარწმუნებლის სახელით შეიტანოს სარჩელი სასამართლოში, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად სცნოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით; ბ) გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება); შეიტანოს საჩივარი (კერძო საჩივარი) სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, აწარმოოს საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში; გ) შეცვალოს სარჩელის საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა; დ) ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო (ადმინისტრაციული) საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით. ამისათვის ასევე ვანიჭებ დამატებით უფლებამოსილებებს, იმ უფლებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით, ე. ი. იმ უფლებით, რაც კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს და დაზარალებულს, მათ შორის უფლებით საქმე მორიგებით დაამთავროს, ცნოს ან უარყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება, მიიღოს სააღსრულებო დოკუმენტები.

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა

მინდობილობა გაცემულია 2020 წლის პირველი თებერვლის ჩათვლით.

მინდობილობა გაცემულია უფლებამოსილების გადანდობის უფლების გარეშე.

აქტის ეგზემპლარები და დანართი

წინამდებარე აქტი შედგენილია **ხუთ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

შპს ორიენტ ლოჯიკი-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი. ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

სანოტარო მომსახურების ხარჯები:
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ", 31-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, გადახდილია სანოტარო საზღაური: 10 (ათი) ლარი, დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2 (ორი) ლარი.

მიმნდობი: **შპს ორიენტ ლოჯიკი-ს** დირექტორი:

სახელი, გვარი

ნოტარიუსი ანჟელა მანია

საქართველო ნოტარიუს ანჟელა მანია
GEORGIA NOTARY ANJELA MANIA
НОТАРИУС МАНИЯ АНЖЕЛА
62001034660